


138  
1920

გამომცემი



# სამაგრი



სამაგრილო ჟურნალი გვირგვინოვანთათვის  
№ 9. მაისი 1920 წ.

899.962.1(05)

6-22

1410674  
111011



IX-DE U340504

№ 9.

4 0261 09088



1285-1  
F-5821

ქვეყნის №  
სახლის №  
კარგის №  
სახლის №

სიღუმელი

914

# შ ი ნ ა ა რ ს ი:

I. სურათი . . . . .	1
II. კოლა სკოლაში. — ლექსი გოგონასა . . . . .	3
III. პაწია ქურდბატეა, — წყვიტისა . . . . .	4
IV. თინის შოშია, — ლექსი კასრამასა . . . . .	9
V. ეშმაკი, — პიესა შასურამასა . . . . .	11
VI. პაწია ზღაპარი, — თარგ. თ. კანდელაკისა . . . . .	19
VII. ქიანველას თავგადასავალი, — თარგ. კაკისა . . . . .	22





## კოლა სკოლაში.

დღეს პირველად მიაბარეს  
 სასწავლებლად ცელქი კოლა:  
 რა თქმა უნდა, თავის დღეში  
 არ ენახა კოლას სკოლა!

და რომ ნახა მან ამდენი  
 პატარები თავის ტოლა,  
 ირგვლივ თვალი გაკვირვებით  
 მიაყოლა—მოაყოლა.

ზოგი სწერს და ზოგი ხატავს,  
 სხვა—კითხვაში იქ ვარჯიშობს,  
 ზოგიც მაღალ დაფასთან სდგას  
 და რაღაცას ანგარიშობს.

კედელზე კი სურათები  
 ლამაზი და მრავალფერი:  
 შეგირდებსაც სკამ-მაგიდა,  
 ყველას თავის შესაფერი...

და კოლასაც შეუყვარდა  
 სკოლა, მუდამ მხიარული,—  
 უყვარს სწავლა, წერა-კითხვა  
 და წიგნებით სიარული!

ილ. გოგია.





## შაწია ქურდბაცაცა.



რთს ერქვა ვაი, მეორეს კი—გოგია. ორივე ხა-  
ტუქნულ — ხარკვალუბულნი იუქნენ. მადიან დიდი  
მეკობრებიც იუქნენ ერთმანეთისა, თუძცა თაჟ-ზი-  
რის კაწვრა და მუძტი-კრივიც იძუიათი მოუ-  
ლენა არა ეოფილა მათ ცხოვრებაში. ორივე უფ-

რო ხშირად ქუჩაში იუქნენ და, ვისიმე კბის ზირველ, ან მეო-  
რე საყესურსე ჩამომსდარნი, ფუნსულა სელების ზოტინით სულ  
რადაცას ტუტუნებდნენ. ხან კი მადლს კისურსე ესვეოდნენ,  
რომელიც იმითონ ერთად იმავე კბესე კატვრენილი იწვა და  
მთისაჲთ მსესე თებოდა; მადლს ხან ეურში თითს წაბტაკებ-  
დნენ, ხან ლამებს ზუწუვდნენ, და დიდი წელაინა კბილები რომ

გამოუხნდებოდა, სიცილით ისიცებოდნენ; სოკჯერ კი, როცა ისინი ცნობისმოყვარეობით ძაღლს ქუთუთოებს აუწ-დაუწკადნენ და თვალის ბაიამი თავიანთ სხსეს დაინახავდნენ და დაეინებით ცქერას დაუწკებდნენ, ძაღლი უძალადვილიდან დაიძროდა და კუდ-ამოძუებული ტუსტუსით გარბოდა. ბავშვები კიეინით და ხარხარით უკან გამოდევნებოდნენ. ბეგრჯელ ამ გამოდევნების დროს ეირამლა გადასულან და სახსოვრად ვეებერთელა კოყოციც მიუღიათ, მაგრამ მეორე წამს, როცა გიოს დედა ნიშნის მოკვებით ეტეოდა ხოლმე, ისინი ისევ ის თომბ იუფენ და ისევ ის ტეაუი აცუიათ. ერთი სიტყვით ძაღლი კატის კუდით ორევა, ქუჩაში რბენა, მათრახი,—უველა ამითი რაინდობა იყო; მაგრამ ამ ორ ხარკვალეებულ შეკობარს უველახე ძლიერ კი ტებღეუელობა უუვარდათ. მეტადრე გოკიანს ერთი საცოდავი კამფეტის გულისხმოვის მიუელ ღუნახს დაავიწკებდით. ბეგრჯელ ხაწია ხუელისათვის, ან წითელ-ლოვა ჯამდის გულისხმოვის, სადაც უნდა ეოფილიყო, ისეთ ხაირ-ხაირ ლექსებს აოქმეუინებდი, ისეთ ლეკურს ათამამებდი, რომ სულ ძაღაუ-ძაღაუ გადადიოდა. თანაც ორივეს ასეთი ხეუელება ჰქონდათ: როცა კი რომელიმე მათგანი სახლში რაიმე ხილს მიადებდა, იმ წამსვე ქუჩაში გამოვარდებოდა, მეტადრე თუ კამფეტი აყო მეორის გასაღესიანიებლად, ლოკვას დაუწკებდა და თან ტრახახით ამბობდა:—

— აი, დახე! ხეენ იმდენი კამფეტები გვაქს, მძამ იმდენი მოიტანა, იმდენი, რომ უველამ ჯიბეები დავიტენეთ.

მეორეს უძალ სხსე ეცუელებოდა, გაბორუნსულ ტუხებს წინ გამოსწკებდა და ხერწევის ელაბებით და ხაწეუე-ხაწეუეობად, უფრო გასუიადებული ტრახახით სიტყვას ასე მოუჭრიდა:—





და დავიდარაბით ძლივს აბობლდა, მერე თითქოს ვიღაცა უჯარდებოა, ერთხელ დაბღჳებით კარებისაკენ კიდევ გამოიხედა, მკმდევე განჯინის კარები გააღო და კამუეტის კოლოფს როგორც ქორი ისე ეცა.

კოლოფში მსოლოდ რამდენიმე კამუეტი ეკდო. მხნამ კამუეტებს ხელი მაგრად დაბღჳა და ამრეხილ სხსით კარებისაკენ მოცოცხა; ესოს კარებსაც როგორც იყო გამოისცილდა, და ტროტუარს შუბლ-შეკრული და ამრეხილი რომ დააღვა, უკან ადარ მოუხედა.

კარბის მუნძულით. ორი მტკაჳელი მარჯული მის მსხვილ ბარძაჳებსე მოძრაობის დროს სხსაცილოდ ადი-დადიოდა; ხელეზ-დაბღჳუჯულს თმები მიძით ეაღუესე დასდგომოდა და ლოჳები ფოთოლსე შერსეულ ცვარივით უოროდნენ.


მორბის-რას. მორბის: კჳერდსე გახედვისაც კი ეძინია. მაგრამ საბედნიეროდ ქუჩაში არაჳის სხანდა; მსოლოდ მორიდან მენახმირის კაბშული "სომ უკლეი" და ზუტომობილის ერეკრიადლი ესმოდა.

მორბის შაწია ქურდბაცაცა; სეცაა სამძვიდობოს მიად-წეეს; მაგრამ დასეთ ბედის წერას: უცებ ქარი ამოჳარდა, და წენარებულ მიდამში ვიდაცას ალუჳაფის კარები მოულოდნელად აბრახუნა და ხჳენ მძიძარა ქურდს უკანიდან გახეთის დიდი ნაგლეჯი მწეჳარივით მრიადლით გამოუჳენა. ბაჳშს ეგონა მთელი რაზმი მთსრობლები თავს დამესხნენო და მჳურაცხო-ფილმა მერე სიმწარით ლოქოსაჳით ჰირი რომ დააღო და თჳალები ჩასუტა, ტროტუარსე როგორც მთურადლი ისე დაბარბაცდა; მაგრამ ის მინც მორბის, მორბის და სამინლად დრიადლებს.



აი მათი სამფლობელოც. კულ-მოცემულმა აქ მან უფრო  
სმას აუძღვდა: ვაიმე დედაო, - ერთი კი ძლიერ დაიდრიალა, და  
წატორტმანებულმა თავი რაკი ვედარ შეიკავა, ტროტუარსე  
ბაუაუივით ზირქვე გაიშლართა. აქაც, თითქოს ჯიბრსე, სად  
იყო სად არა, მისი მუდამ წუნარი და მშვიდი მეგობარი მ-  
რიკო უკანდან წამოეპარა, იღლიდან ჰურის უუა თავასი-  
ანად გამოაცვალა და გამწარებული ბაუძვი უარესად ააჯრიალა.  
ბარემ მოელი უბანი თავს დაესვია, მაგრამ განა განუძემა აგრე  
ადვილი იყო? რის ვაივაგლანით ორიოდ კამფეტი ძლივს მო-  
იპარა და ისიც წაქცევის დროს სადღაც მიწაში მითესა.

ცქვიბი.





## თინას შოშია.

თინას ჰყავდა პაწია  
ცუგრუმელა გოშია,  
მაგრამ ბევრად მას სჯობდა  
მომღერალი შოშია.

დედა, რას არ იტყოდა,  
როგორ თუთიყუშობდა!  
ხშირად მასხარაობით  
ენასაც კი უყოფდა.

ერთხელ დილა-ადრიან,  
როცა თინას ეძინა,

მოესურვა კუდრაქას  
 გულიანად ეცინა.

ტანთ ჩაიკვა სერთუკი,  
 დიდი პრანქვა-გრეხითა,  
 ყელი გამოიკვალთა  
 ქრელი ბაღდადებითა.

ყვითელ შარვალს შვენოდა  
 მოწითალო ყილეტი,  
 კობტა ჯოხი და ქუდი,  
 ცარიელა ჯიბეთი.

ასე რიგზე მორთული  
 ის ეწვია თინასა,  
 ჯოხსაც წაუთავაზებს  
 გულიანად მძინარსა.

ადე, ქალო, ადექი,  
 მოველ შენი ძმობილი,  
 ჩქარა, ნუ აგვიანებ,  
 გველის ავტომობილი!

თინა შეკრთა. რომ იცნო,  
 მოჰყვა სიცილს და ხარხარს:—  
 იგი შენ და შენ თავსა!—  
 შეუძახა მასხარას.

თანაც ჩაის სთავაზობს,  
 უპატიყებს ტიკინებს,  
 მასთან ერთად მოილხენს,  
 მასთან ერთად ტიტინებს.

არა, ბევრი რამ ჰხდება  
 ჩვენს კურთხეულ დროშია,  
 მაგრამ ყველას აკვირვებს  
 თინას კობტა შოშია...





## ე შ მ ა კ ი.

(საბავშვო კომედია ერთ სურათად).

1. სერგო . . . . .	9 წ.
2. ნინა . . . . .	10 „
3. ვანო . . . . .	10 „
4. მიხა . . . . .	8 „
5. მარო . . . . .	7 „

სცენა წარმოადგენს ეზოს. მარჯვნივ საძიქელი; მრავალი დასამალი ხეხე-ბა; ეზოში თითქმის მუხლამდინ ბაღანა და რამდენიმე ხე. ბინდდება. თანდა-თან ბნელდება. სცენა ცარაელა. შემოდის ვანო; მოსდევს ბავშვები.

**ვანო** მოდით და თვალხუჭუნა ვითამაშოთ.  
**ნინა** ძალიან კარგი იქნება, ვითამაშოთ!  
**ბავ.** ვითამაშოთ, ვითამაშოთ!  
**ვანო** მაშ დავიწყოთ!  
**ბავ.** დავიწყოთ, დავიწყოთ!..  
**ვანო** აბა მაშ ახლო მოდით! (შეადგენს) „ონი-ონი, კლაპიტონი, დერციკონი—აბრიკონი, ირიშკი-მირიშკი, ჩიკორი და ვილა-ონი“ (მაროს) შენ გახვედი!..

- ნინა ახლა მე ვიტყვი: „იწილო-ბიწილო, შროშანო-გვრიტილო, ალხო-მალხო, ჩიტმა-გნახო, შენი ფესვი, ფესმადუკი, აჯექ-მაჯექ, მეფე-ჩაჯექ, პატარძალო ფეხზე ადექ!“ (მისს) გადი!
- სერგო ახლა ჩემი რიგია, მე ვიტყვი!
- ნინა შენ არ იცი!..
- სერგო მაშ შენ ჩემზე ბევრი იცი?
- ნინა მაშ არ იცი, რომ ვიცი?
- სერგო (წარმოთათს ჩაიღებს) აი ესეც იცი!
- ნინა შენ აღარა ხარ, გასწი, დაიკარგე!
- სერგო (ძღაურ ნაწუენას, აბუტება)
- ვანო მერე რა არის, რომ სთქვას?.. თუ კი შენა სთქვი, ეგ რაღა არის?
- ნინა ეგ ის არის, რომ ყველაფერში მეტიჩარაა, და კი არა იცის რა!
- მიხა როგორ თუ მეტიჩარა?.. მაშ მარტოკა შენ გინდა თამაშობა, და მაგას კი არა?
- მარო მართალს ამბობს, იქნება წერგოს შენზე ძალიან უნდა თამაშობა!
- ვანო (მაუა სერგოსთან) მოდი, სთქვი, ნუღარ იბრანქები!..
- სერგო (კაპებ-შკარულა) სამში უნდა ვსთქვა?
- ვანო ჰო, მიხა და მარო უკვე გავიდნენ!..
- სერგო „ონი-ონი, კლაპიტონი, დერციკონი“...  
ნინა (აწვეტანებს) აკი ვსთქვი, რომ არ იცის-მეთქი; ნათქვამის გამეორება არ შეიძლება.
- სერგო სხვას ვიტყვი, რა, განა სხვა არ ვიცი!
- ნინა არაფერიც არ იცი!..
- სერგო რატომაც არ ვიცი! ყველაფერიც ვიცი!
- მარო ჩქარა, თორემ მე უკვე მეძინება!..
- (დასნულდა. გამოჩნდებათ ცაქანათულება. ასმას ჭრაჭანებს ჭრაჭანა)

- სერგო ამ წუთში!.. „იწილო-ბიწილო, შროშანო-გვრიტილო!...“
- ნინა (აწმარტინებს) ხომ ვთქვი, რომ არ იციხ მეთქი!.. რაღას ვალაპარაკებთ! აი კიდევ დაბნელდა და დასაძინებლად დაგვიძახებენ!
- სერგო მერე „იწილო-ბიწილო“ არ ვიცი?
- ნინა ცოდნით იქნება იცი, მაგრამ უკვე ნათქვამია.
- სერგო მერე ხატები გაწყურებიან, რო გავიმეორო?
- ნინა მაშ არ იცი, რო გაწყურებიან?
- სერგო იმდენი მებნი დაგაყარე მაგ პოლოსა თავზე, რაც ისინი არ გაწყურებიან!
- ნინა მებნიც დაგაყარე და ვარამიც!
- სერგო გოგო, როგორღაც წერას აუტანიხარ!.. ფრთხილად, თორემ...
- ნინა თორემ ყურებზე ხახვი არ დამაჭრა!..
- ვანო კარგით, გეყოფათ ამდენი ტიკტიკი!.. თუ ვთამაშობთ, ვითამაშოთ, თუ არა და — პერი!..
- მარო ჩქარა, თორემ დამეძინა!
- მინა მე კი წავალ, და თქვენ რაც გინდათ — ისა ჰქენით!
- ვანო მოიცა, მინა, ეგ როგორ შეიძლება! შენ რომ წახვიდე, მერე იმასაც მოუნდება წასვლა, მეც, და თამაშობა დაგვეშლება!
- მინა თუ ვთამაშობთ, მაშ ვითამაშოთ!..
- ვანო აი ახლა ჩხუბი აღარ მოუვათ: „იონ-იონ, ბაბიონ, — გორში ვინა, გან-მე, იწილო-ბიწილო, ზენ-კარმე, ტარაბუა-ბიწი!..“ შენ გახვედი, ნინა!.. ახლა შენ რაც გინდა — ისა სთქვი, ნინა ხელს ველარ შეგიშლის!..
- სერგო „ონი-ონი, კლაპიტონი, დერციკონი — აბრიკონი, ირი-შკი-მირიშკი, ჩიკორი და ვიდა ონი.“ — მე დავრჩი.
- ყველა აბა დაიხუტე!.. აბა დაიხუტე!..

- სერგო (ახუჭებს) აბა მაშ ჩქარა დაიმაღლეთ! — (ხუმ-ხუმად აქვიატებს).
- ყველა (გარბიან) არა დრო, არა დრო!..
- ნინა არა დრო, ნუ იჭყიტები!
- სერგო აბა სად ვიჭყიტები, შენ წადი, ჩქარა დაიმაღლე! დრო!
- ვანო (სმა-გამოცვლით) დრო!
- სერგო თვალი ამიხელია, ჩიტო გამიფრენია!.. მაშ მე ბიჭი არა ვყოფილვარ, თუ ნინას რა უყავი! (ქეხს, განგებ უკლასი გამოუდგება და ნინას გარდა ვეულის უშვებს) აბა დამიდექი!..
- ნინა არ მინდა: რატომ ისინი არ დაიჭირე?
- ვანო კარგი, ნუ ჯინჯლობ, გეყოფა, რაც იჩხუბე!..
- ნინა მაშ ჩამომეცალოს ბინიდან!..
- სერგო აჰა!..
- ნინა კიდევ! ეგ რა არის?.. მანდ ურემიკ ვერ გაივლის! აი, აქ დადექი!..
- სერგო ეგ ჩემი ნებაა, სადაც მინდა—დავდგები!
- ნინა შენი ნებაა, და მე აღარა ვარ.
- ყველა რატომ არა ხარ!.. რატომ არა ხარ?..
- ნინა იმიტომ, რომ გზას არ მაძლევს!
- ვანო მიეცი გზა, სერგო, არა უშავს-რა, ეგ ერთი აპატიე!..
- სერგო შენი ხათრით მივცემ, მხოლოდ იცოდეს, რომ უკანასკნელად!
- ნინა აბა მაშ ჩამოდექი!
- სერგო აჰა!.. (როდესაც სერგო ჩამოდგება, ნინა უნებ გააქცევს და ხელს მიაღებს ნინას) კარგი!.. შენ ახლა ხომ გაჭრილი იყავ, მაგრამ მე არ ვიშარებ!.. აბა მაშ წადით!.. (ახუჭებს) ნინა ხომ მემტერება, და დამაცადოს, თუ რა უყო!..
- ყველ. (მარბიან) არა დრო, არა დრო!..
- მარო დრო, დრო!..
- ნინა დრო!
- სერგო (აქეთ) დიან, დამაცადე, დროს მალე გიჩვენებ!.. (ქეხს)



მოვდივარ!.. თვალი ამიხელია, ჩიტო გამიფრინდა...  
(როგორც ზარედად, უკვლას გაუშვებს, ხანას გაწდა.)

ნინა არ მინდა, რატომ მაგათ არ იქერ?

სერგო იმიტომ, რომ ვერ ვიქერ!.. მორჩა და გათავდა!

ნინა (უფარებს) მორჩა და გათავდა!..

ყველა. შურიანი ნუ ხარ, შურიანი ნუ ხარ!.. არა გრცხვენია?..

სერგო მე არა ვიცი-რა!.. (გამოუდგება)

ნინა (გაქცევს, მაგრამ სერგო დაიჭერს) არ მინდა, ნი-ჯერია!

სერგო არ დაგიქირე, რათა შარობ?

ნინა იმიტომ რომ ჩემი ნი-ჯერია იყო!

ვანო ჯერ დაგიქირა, და შენ მერე დაიყვირე: „ნი-ჯერიაო“!

მიხა დედა, რანაირი შარიანია!

ნინა გაჩუმდი, თორემ!..

მიხა თორემ რა?..—სერგო ხომ არ გგონივარ. ისე დაგბე-  
ყო, რომ პატრონმა ვერ გიცნოს!..

ვანო ახლა თქვენი ჯერია, აბა ახლა თქვენ დაიწყეთ!

სერგო მაშ არ გინდა, რომ დაიხუტო?

ნინა არა!

სერგო ფუი, შე შარიანო შენა!..

მიხა უსვინიდიხო, შარიანო!.. შეგეშინდა განა?

ნინა რისი შემეშინდა?

მიხა (შაუხსლადუდება) რისა და ჩემი!

ვანო (ხანას) არ დაიხუტები, ნინა?

ნინა არა!

ვანო აბა დამიგდეთ ყური!.. მე რომ კარგი რამე გასწავ-  
ლოთ, გამიგონებთ?..

ყველა. გაგიგონებთ, გაგიგონებთ!..

ვანო მოდი ერთმანეთს კენჭი უყარეთ. ვისაც ერგოს, იმან  
დახუტოს!..

სერგო ძალიან კარგი იქნება, ძალიან კარგი! (ხანას) ხომ ყა-  
ბულსა ხარ?



- ნინა ვარ! (აღივს კანკს) ვისაც ერგოს, იმან დახუტოს!
- სერგო (აღივს) გავედი. ახლა როგორა ხარ?
- ნინა ძალიან კარგად!
- მიხა ხედავ-სიშარემ სად გაგქრა?
- ნინა შენ გეუბნებიან-გაჩუმდიო, გესმის?
- მიხა ბევრს ნუ ყბედობ, თორემ აჰა!
- ვანო რით ვერ მოისპო ეგ თქვენი კამათი, გაჩუმდით!..
- ნინა აბა ჰკითხე, რა უნდა ჩემგან მაგ ჩერჩეტსა,-მაგასა!
- ვანო მე არც იმასა ვკითხავ, და არც შენა!
- მარო თუ ეთამაშობთ-ვითამაშოთ, თუ არა და დაევიშალოთ!
- ნინა აბა დაიძალეთ!.. (ახეკვია) დრო?..
- ყველა (შირბახს) არა დრო, არა დრო!..
- სერგო (მიხასს სკლავთ ანიშნებს) მიხა, აქ მოდი!
- მიხა რა გინდა?
- სერგო ნინას ჯავრი ხომ გკირს?
- მიხა ძალიან, ძალიანა მკირს!
- სერგო ჰო და მეცა მკირს; მოდი და ერთი რამე ოინი გაუკეთოთ!
- მიხა ძალიან კარგი იქნება, მაგრამ როგორ?
- ნინა მანდ ვინა ბუტბუტებთ, დრო!..
- მიხა არა დრო, არა დრო!.. (სერგოს) ჩქარა, თორემ საცაა თვალს აახელს!..
- სერგო შენ წადი, დაიძალე, მე კი შინ წავალ და მამა-ჩემის ტყაპუქელას გადავაბრუნებ და უკულმა ჩავიცვამ; მერე ხომ იცი?..
- მიხა ძალიან კარგი, ძალიან კარგი!
- ნინა დრო?
- მიხა არა დრო!.. არა დრო!
- სერგო ახლა შენ დაიძალე, და მე კი წავალ! (შირბახს)
- მიხა აბა მაშ ჩქარა!.. (აშლავს) დრო!..

- ნინა ნინა „თვალი ამიხელია, ჩიტი გამიფრენია“ (ქქეს) და-  
 გინახე, დაგინახე, ამოდი!—(ვერაფის ვერ აჭერს) სერგო  
 რაღა იქნა?
- მიხა სერგო მგონი წყლის დასაღვეად წავიდა!..
- მარო მანამ ჩვენ ვითამაშოთ. იმისი ნი-ჯერია იყოს!
- ვანო (ნინას) დაიხუტე!.. აბა წავიდეთ, ბიჭებო!
- ნინა აბა ჩქარა, წელანაც მთელი ერთი საათი ვიხუტე!—  
 (ასეუტება)
- ბავშ. (გარბიან) არა დრო, არა დრო!..  
 (მთვარე ამოდის).—(შემოდის სერგო, გადმობრუნებული ბეწვანა  
 ჯუბით; თეთრი გქვდა წვერება აქვს გაკეთებული)
- სერგო (ათვალაურებს) მგონი აქა სჯობიან, აქ უფრო დიდი ბა-  
 ლახია. და კარგად ჩავიმალეები!.. როცა მოვა, უცბად  
 წამოვებტები, დავიღმუვლებ და გამოუდგები!..
- ნინა დრო?..
- სერგო (სწრაფად ამხუტება) დრო!..
- ნინა ნინა, „ჩიტი გამიფრენია, თვალი ამიხელია!..“ (ქქეს. ვანო  
 და მიხა მიახწრებენ—ნინა ვერ დააჭერს)
- მის და ვან იკუნტე, მარო, იკუნტე!..
- ნინა დაგინახე, დაგინახე!.. გამოდი!.. არ მინდა... რატომ არ  
 გამოდის!..
- მიხა (მირბის) აბა აქ როდის არის, ტყუილად რომ ჰყვირი?  
 არა დრო, მარო, არა დრო!..
- ვანო იკუნტე, მარო, იკუნტე, არა დრო, არა დრო!..
- ნინა (შადის საქონელად და სწორედ ზედ წააწყდება სერგოს, რომელიც  
 წამოხტება, დაღმუვლებს და გამოეკიდება. ნინა შიშისგან გაქიქება;  
 დაასკდება, წამოდგება და ასევე გარბის) ვაიმე, ეშმაკი, მიშველე.  
 დედა, ეშმაკი!..
- ვანო (შეშინებული გარბის, გამოვარდება და ტარაღათ გავარდება) გვი-  
 შველეთ, ხალხო, ეშმაკი!.. ეშმაკი!..

3.

(სერგო და მისი მისცევედების კრომინოსი სივლით)

შახა ხა.. ხა.. ხა.. ხა.. ხა... (ფეხზე შედს აუდუს) ვაიმე, ვაიმე,  
 დედა!.. ხა.. ხა.. ხა.. ხა..!

სერგო ხა.. ხა.. ხა.. ხა..! ხომ კარგათ მოხვდა, პა?... ხა.. ხა..  
 ხა.. ხა...

(საზოგადო სივლით)

(ფარად)

● დ. მაისურაძე.





### შაქია სღაპარი.

1285



არიკოს კაცეკუბით უეჭარდა სღაპრები. მკრამდ დედა-მისი მუდამ კართული იყო საქმეებში, და როცა ძარიკოა მუხუჭუჭებოდა, — მუნ კუნაცვალე, დედა, ერთი სღაპარი მითხარიო, — ის უოჯულოთვის ასე უნასუხებდა: — კარგი, შვილო, კარგი, მკრამდ დიდს კი ვერა,

შატარა სღაპარს კატევი, მოკლეს!  
ერთსელ ძარიკო მივიდა დედასთან და უთხრა: —  
— დედა, შატარა-შატარა სღაპრებს რად მუხუნები სოლმე უოჯულოთვის?  
— იმიტომ, შვილო, რომ არა მცალია კრძელი სღაპრების სათქმელად! სომ მხედავ, მუდამ ვსაქიანობ და იმდენი მოცადლებ არა მაქვს.  
— არა, იქნება მუნ შატარა სღაპრები უფრო გიყვარს?

— კიგს კია, შვილო, — მოკლე სღანპრები უფრო მიუვარს, — შიგო დედაძა.

— გინდა მე ვიამხო ერთი კაი სღანპრი? — ხანცვიდა მარიკო.

— მიამბე, კენაცვალოს დედა, მიამბე, — რატომაც არ მინდა!

— აბა უური დამიკდე, იყო ერთი პატარა გოგონა, სახელად ერქვა მარიკო. ისეთი კაი დედა ჰქაჯდა იმ მარიკოს, ისეთი გულკეთილი, ისეთი მოსიყვარულე, როგორც ანკელოზი! მარიკო ცოტა მსუნაგი გოგონა იყო, — ტკბილუკულობა უყვარდა. ერთხელ მიეპარა ის ალუბლის მურაბას, — ზირი უნდა საეტკებარუნებინა... გულმა კანკალი დაუწყო, ხელები აუცახცახდა... ოჰ, ქურდობა რა ძნელი კანახუდი ეოფილა!.. თან მურაბას სღანპადა, თან უკან-უკან იეურებოდა... უცებ ქილა წაექცა, კადმოუვარდა და გაუტუდა!.. უცახუდად...

— უი, დამიკდე თვალები!.. როდის, მე არ დანაცალე ბულო, როდი!?!

— გუმიხ... მკრამ ნუ გამიჯაჭრდები, ხემა კარგო დედაჲ! ახლა კი მანატეებ, და მეორედ არ ვიხამ, დედა არ მომიკუდებ, მამა არ მომიკუდებ!

— ჰაი, მე ქურდ-ბაცაცაჲ!.. ჰა, მე კუდრაჭაჲ, შენა!.. ერთი მომესწრო იმ დროს, და მე განყენებდი...

— ნუ, დედილო, ნუ!.. მანატე, ხემა ანკელოზო! დედას სიცილი წასქდა.

— ხომ მანატეებ, დედიკო?.. აა?

— აბა რა კიეო ახლა: ეს ერთი მიმანატეობა!

— უი, მენ კი კენაცვალე, ხემა კარგო დედიკო! — მქნძხა განარებულმა კუდრაჭამ, დედას ეელსე მოექნა და ტკბილად კოცნა დაუწყო.





# ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი.

## VII.

ვტოვებ ძვირფას ამხანაგებს.

რამოდენიმე დღე დაურჩი ჭიანჭველებთან. მძუნური დღე-  
ები იყო: ეველა მიუღიდა, ეველა ცდილობდა სხუასე მუტი  
თანაგრძობა ეხეხებინა ჩემთვის. რა კეთილი და შესანიძნავი,  
ჭიანჭვიანი ჭიანჭველები იყვნენ. ბევრს მუშაობდნენ და კარვად  
მიდიოდა მათი საქმე.



ჭიანჭველები სწამებდნენ ბოინჯის ყოველ ძირს.

ნაცარა ჭიანჭველები დილა-აღრიან, ზორული მზის ქვეშა  
 რომ შემოანათებდა, უანებისკენ მიემჯობოდნენ. ეველასე ყურო  
 იძის ცდილობდნენ, რომ რაც შეიძლება მეტი ადგილი გაე-  
 წმინდათ, ნაკადვი მოემორებიათ. როცა მიწას მოამსადებდნენ,  
 მარცვლებს მოიტანდნენ და სთესავდნენ. ამოვიდოდა თუ არა  
 მათი სუუარელი ბრინჯი, ცუდ ბალახს აცლიდნენ. მერე, რო-  
 გორც ნამკლით, თავისი ებებით ისე სჭრიდნენ და ზურის მა-



ჭიანჭველების მოფინილი სოკოს ყანა

ღახიამი მიქქანდათ. დელოს აცლიდნენ, დეოებს გადაურიდნენ,  
 მარცვლებს კი ერთად ალაგებდნენ. ამის შემდეგ იმაზე უნდა ეზრუ-  
 ნათ, რომ მარცვალი ბუფელში არ გაფუჭებულიყო, ფესვები არ  
 გამოეძვა. თუ წვიმა მარცვლებს დასხველებდა, ჭიანჭველები მსესე  
 გამოიტანდნენ, გადაარჩევდნენ, და თუ კი შეამჩნევდნენ—სოკო-  
 ეროს ფესვები გამოუშვია, აღარ ინახავდნენ, იქვე სჭამდნენ.

ამ საქმეს მუძა ქალები ასრულებდნენ.



ჭიანჭველების ქალაქი უსარმძღვარი იყო; მისი უდიდესი ნაწილი მიწის ზეით იყო ამყენებული. ვეება ჰურის ძალაზეები ჭიანჭველათ. ჭიანჭველათ ძალიან დიდი საბჭეშეო ოთახები ჭიებისთვის და ფუშელებისთვის; აგრედვე ოთახები მძობლებებისთვის. ვეელაფერი მძეენივრად იყო მოწეობილი და განცსრომაში ცხოვრობდენ.

მიუხედავთ იმისა, რომ მივლიდენ, ვეელა სურვილებს მისრულებდენ, ძალიან მოწეენილი ვიეავი, დარდი გულს მღრღნიდა, არაფრის გაკეთება არ შექმლო. გული მინისკენ მწეედა. მუდამ იმაზე ვეეიქრობდი, თუ როგორ ცხოვრობდენ ხეში ნათესავეები: ხეში მძა ჭერეკულესი, მძა-ხეში, დედა-ხეში, ხეში მვირფასი გადია. გადაწეევიტე, რაც უნდა დამძერთოდა, მენახე ისინი და ხეში საძეობლო ქალაქი.

გამოვემძვიდობე ამხანაგებს და მძანიმლობისთვის მადლობა გადავუხადე. დიდხანს მესეეწენ დარხენას, ეძინოდათ, — გზა საძეობი იყო, — მაფრთხილებდენ, რომ ფრთოსან ვემაზეებს, ან ხელიკს არ შეეეჯახო, ეხადები თავს არ დამცემოდენ. მავრამ ვერას გახდენ, რადგან ვკრძობდდი, რომ არსად არ შექმლო ცხოვრება, გარდა ხეში სახლისა, ხეში საძეობლოსი, და დილა-ადრიან გაეუდექი გზას.

გამაცილეს მიწის მუშეებმა, მისურვეს კარგი მკხავრობა და ერთმანეთს განეშორდით.

კაკი.







# გასართობი

## შაწია რებუსები.



2.



3.



3

4.



მერვე ნომერში მოთავსებული რებუსების ძხვნა:

1. ბათოში ისევ ჩვენია. 2. მკათათვე.

მიიღება ხელის მოწერა

1920 წ

წლისათვის

დასურათებული

საუბრალოდ უზრუნველ

# „ნაკადული“

(წელიწადი მეთექვსმეტე)

ქურნალს სუბსიდია ეძლევა განათლების სამინისტრო-საგანს. გამოდის გაფართოებული პროგრამით, საგან-გებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვა-ნელობით.

მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის

ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯელ-  
„ „ მოზრდილთათვის „ ერთხელ.

წლიურად ორივე გამოცემის ფასი	200 მან.
ცალ-ცალკე . . . . .	100 „
ნასუვარი წლით . . . . .	100 „

მისამართი: თბილისი, „ნაკადული“ რედაქცია, რუსთაველის (ყოფილი გოდიფინის) პროსპექტისა და დავათას ქუჩის კუთხე, მეცო-სასკლედი დავათას ქუჩიდან, № 2, ტელეფონი № 7-51.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.